ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა - განათლების ფსიქოლოგია

ანა კოკაია

მომავალზე ორიენტირებული დროის პერსპექტივისა და ოპტიმიზმის მიმართება სტუდენტების აკადემიურ მოტივაციასთან

ნაშრომი შესრულებულია მეცნიერებათა და ხელოვნების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
განათლების ფსიქოლოგიაში

ხელმძღვანელი: განათლების ფსიქოლოგიის
პროფესორ-ემერიტუსი: **მარინე ჯაფარიძე**

თბილისი
2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვით.

05.06.2025.

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია მომავალზე ორიენტირებული დროის პერსპექტივისა და ოპტიმიზმის როლი სტუდენტების აკადემიურ მოტივაციასთან მიმართებაში. კვლევის მიზანია დაადგინოს, თუ რამდენად პროგნოზირებს აღნიშნული პიროვნული მახასიათებლები მოტივაციის სხვადასხვა ფორმას: შინაგანს, გარეგანსა და ამოტივაციას. დროის პერსპექტივა და ოპტიმიზმი განიხილება, როგორც ინდივიდის ქცევის რეგულაციისა და მოტივაციის მნიშვნელოვანი ფაქტორები. კვლევის თეორიული საფუძველია ფილიპ ზიმბარდოს დროის პერსპექტივის თეორია და დეცისა და რაიანის თვითგამორკვევის თეორია, ხოლო კვლევის სტრუქტურა ეფუძნება რაოდენობრივ ანალიზს. კვლევა ჩატარდა 101 ქართველ სტუდენტზე. მონაცემები შეგროვდა სტანდარტიზებული სკალების მეშვეობით. შედეგები დამუშავებულ იქნა SPSS პროგრამით - აღწერითი სტატისტიკის, კორელაციური და რეგრესიული ანალიზის გამოყენებით. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ოპტიმიზმი და დროის პერსპექტივა დადებით კორელაციაშია, როგორც შინაგან მოტივაციასთან, ისე აკადემიურ წარმატებასთან. რეგრესიული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ოპტიმიზმი, GPA და სქესი ერთობლივად ხსნიან შინაგანი მოტივაციის ცვალებადობის 27.4%-ს. ოპტიმიზმი ასევე მნიშვნელოვანი პრედიქტორია გარეგანი მოტივაციის. კვლევის მიგნებებს შეუძლია გარკვეული წვლილი შეიტანოს საგანმანათლებლო პოლიტიკასა და ინტერვენციული პროგრამების დაგეგმვაში, რაც მიზნად ისახავს მოტივაციის ამაღლებასა და თვითრეგულაციის უნარების განვითარებას ქართველ სტუდენტებში.

საძიებო სიტყვები: დროის ორიენტაცია, აკადემიური მოტივაცია, ოპტიმიზმი.

Abstract

The present study explores the role of future time perspective and optimism in relation to students' academic motivation. The primary objective of the research was to examine the extent to which these personality traits predict different forms of motivation: intrinsic, extrinsic, and amotivation. Both time perspective and optimism are conceptualized as significant factors in behavioral regulation and motivational functioning. The theoretical framework of the study is grounded in Philip Zimbardo's Time Perspective Theory and Deci and Ryan's Self-Determination Theory, while the research design follows a quantitative methodological approach. Data were collected from a sample of 101 university students using standardized psychometric instruments. The analysis was conducted using SPSS program, applying descriptive statistics, Pearson's correlation, and regression analysis.

The findings revealed that optimism and future time perspective were positively correlated with intrinsic motivation as well as academic achievement (GPA). Stepwise regression analysis indicated that optimism, GPA, and gender jointly accounted for 27.4% of the variance in intrinsic motivation. Furthermore, optimism emerged as a significant predictor of extrinsic motivation. These findings highlight the relevance of cognitive-affective traits in academic settings and suggest practical implications for the development of educational policies and intervention programs aimed at enhancing student motivation and self-regulation skills within the Georgian higher education context.

Key Words: Time Orientation, Academic Motivation, Optimism.

მადლობა

გაწეული შრომისა და დახმარებისთვის, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსს ქალბატონ მარინე ჯაფარიძეს. მისი რჩევა-დარიგებები და რეკომენდაციები დამეხმარა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო კვლევაში მონაწილე თითოეულ რესპოდენტს, რომლებმაც გამონახეს დრო კითხვარის შესავსებად.